ბრძანება

ქ. თბილისი

N 1230-03
18/08/2025

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის N 1136-03 04/08/2025 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 28 ივლისის N1084-03, ბრძანების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის N 1136-03 04/08/2025 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების მსურველ კანდიდატებთან გასაუბრების კომისიისა და საპრეტენზიო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის N 1136-03 04/08/2025 ბრძანების 25-ე პუნქტში, დაემატოს სპეციალობის გამოცდის თარიღად 8 სექტემბერი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   ,,25. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის „თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება“ მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ ინგლისური ენის გამოცდის მინიმალურ ზღვარს, შიდასაუნივერსიტეტო ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ი ს გამოცდის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 6 და 8 სექტემბერი. სამაგისტრო პროგრამის გასაუბრებაზე აპლიკანტებმა პორტფოლიო უნდა წარმოადგინოს ბეჭდური სახით, აკინძული A3 ფორმატზე.“

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი